



ურთიერთგაგების მემორანდუმი

Memorandum of Understanding

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
მერიასა და შპს გერმანიის
საერთაშორისო
თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ)
შორის

Between the City Hall of Zugdidi
Municipality and Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

მუხლი 1. მემორანდუმის მხარეები

Article 1. The Parties of the Memorandum

1.1. **მემორანდუმი** იდება ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის **მერიასა**
(წარმოდგენილი ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის მერის - მამუკა
წოწერიას მიერ) და **GIZ-ს**
(წარმოდგენილი GIZ-ის საქართველოს
ოფისის ხელმძღვანელის - სანდრა
შენკესა და პროგრამის დირექტორის -
ანკა დერიხსის მიერ) შორის (შემდგომში
ცალ-ცალკე მოხსენიებული, როგორც
მხარე, ხოლო ერთად - **მხარეები**).

1.1. The **Memorandum** is concluded between
the **Zugdidi Municipality City Hall**
(represented by Mamuka Tsosteria, Mayor
of Zugdidi Municipality) and **GIZ**
(represented by Sandra Schenke, GIZ
Country Director Georgia, and Anka Derichs,
Programme Director) (hereinafter
individually referred to as **the Party**, and
jointly – as **the Parties**).

მუხლი 2. მემორანდუმის პრინციპები

Article 2. The principles of the Memorandum

2.1. **მხარეები** ადასტურებენ თავიანთ
მზაობას, ითანამშრომლონ
კეთილსინდისიერების,
გამჭვირვალობისა და
ანგარიშვალდებულების პრინციპების
საფუძველზე.

2.1. The **Parties** declare their firm commitment
to cooperate with the principles of good
faith, transparency, and accountability.

მუხლი 3. მემორანდუმის საგანი

Article 3. The Subject of the Memorandum

3.1. **პროექტი** „მდგრადი ურბანული
განვითარება საქართველოში“
(შემდგომში **პროექტი**) მხარს უჭერს
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას
კლიმატზე ორიენტირებული,
თანამონაწილეობაზე დაფუძნებული,
ინტეგრირებული ურბანული
განვითარების საკითხებში.

3.1. The project “Sustainable Urban
Development in Georgia” (hereinafter
referred to as **Project**) supports Zugdidi City
Hall in the area of climate-oriented,
participatory, and integrated urban
development.

3.2. The **Project** details will be defined jointly
during an Annual Operational Planning.

3.2. **პროექტის** დეტალები ერთობლივად განისაზღვრება წლიური საოპერაციო გეგმის შემუშავებისას.

3.3. **პროექტის** ფარგლებში, **მხარეებს**

შორის თანამშრომლობა

განისაზღვრება შემდეგი

მიმართულებებითა და სფეროებით:

3.3.1. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჩამოყალიბდება დაინტერესებული მხარეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი.

3.3.2. თანამონაწილეობითი პრაქტიკის გამოყენებით, ქალაქის შერჩეული არეალისთვის, შემუშავდება კლიმატზე ორიენტირებული, ინტეგრირებული ურბანული განვითარების საპროექტო წინადადებები. ამასთან, შერჩეული საპროექტო წინადადებებისათვის შესრუდება საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების გათვლები, რათა მომზადდეს ფინანსირებისათვის გამზადებული საპროექტო წინადადებები. ამასთან, შერჩეული არეალისთვის შემუშავდება უბნის განვითარების გეგმა (NDP).

3.3.3. შემუშავებული საპროექტო წინადადებების საფუძველზე შეირჩევა და დაიწყება მცირე ზომის სამაგალითო პროექტ(ებ)ის განხორციელება.

3.3.4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას მონიტორინგს გაუწევს დამოუკიდებელი კვლევითი/სამეცნიერო ორგანიზაცია(ები). მონიტორინგის შედეგები საფუძვლად დაედება პოლიტიკის რეკომენდაციებს საქართველოში ინტეგრირებული ურბანული განვითარების სფეროში.

3.3.5. ინტეგრირებული ურბანული განვითარების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის ღონისძიებათა მეშვეობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და მუნიციპალიტეტში არსებული სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები გაძლიერდება.

3.3. Within the **Project** framework, the **Parties** shall collaborate in accordance with the following areas:

3.3.1. Formed a multi-stakeholder working group within the municipality.

3.3.2. Developing climate-oriented, integrated urban development project concepts for a selected area of the city using a participatory approach. Additionally, preparing investment calculations and operational costs for the selected project concepts to make them "finance-ready". Also, a Neighborhood Development Plan (NDP) will be developed for one area of the city.

3.3.3. Selecting and starting implementation of small-scale exemplary urban action(s) based on developed project concepts.

3.3.4. Monitoring urban working group activities by an independent research/academic organization. The monitoring results will be the basis for policy recommendations in the field of integrated urban development in Georgia.

3.3.5. Strengthening capacities of relevant departments in the Zugdidi municipality city hall as well as other stakeholders through knowledge and experience exchange events in the field of integrated urban development.

მუხლი 4. მხარეთა თანამშრომლობის პირობები

4.1. მემორანდუმის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზაობას:

- 4.1.1. შექმნას დაინტერესებული მხარეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩაერთვებიან მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, მათ შორის გენდერზე პასუხისმგებელი პირი და სხვა დაინტერესებული მხარეები (მოსახლეობა, ახალგაზრდები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და ადგილობრივი სამოქალაქო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები).
- 4.1.2. გამოყოს შესაბამისი მოხელე, რომელიც, მთელი პროექტის განმავლობაში კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფს და ხელს შეუწყობს GIZ-ის რეგიონულ მრჩეველთან და შესაბამის კონსულტანტებთან ერთად საპროექტო წინადადებების შემუშავებას და მცირე ზომის სამაგალითო პროექტ(ებ)ის განხორციელებას.
- 4.1.3. უზრუნველყოს სამუშაო სივრცე GIZ რეგიონული მრჩეველისთვის და პერიოდულად გამოყოს შეხვედრების სივრცე ურბანული სამუშაო ჯგუფის სწავლასა და აქტივობებისათვის.
- 4.1.4. მცირე ზომის სამაგალითო პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოს ამავე პროექტის ღირებულების 10% ფინანსური კონტრიბუციად მუნიციპალური ბიუჯეტიდან.
- 4.1.5. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს უბნის განვითარების გეგმის (NDP) საკრებულოში წარდგენა.
- 4.1.6. ხელი შეუწყოს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციასა და მოქალაქეთა ჩართულობას პროექტის განმავლობაში.

Article 4. Terms of cooperation of the Parties

4.1. Within the framework of the **Memorandum, Zugdidi Municipality City Hall** hereby affirms its commitment:

- 4.1.1. To establish an urban working group, comprising of the representatives from the relevant city hall departments, including the Gender focal Point, as well as other interested stakeholders (citizens, youth, private sector, local civic, and non-governmental organizations).
- 4.1.2. To allocate a staff member for the urban working group, who will coordinate the urban working group throughout the project and support preparation of project concepts and implementation of small-scale exemplary urban action(s) together with the **GIZ** Regional Advisor and relevant consultants.
- 4.1.3. To provide a working space for the **GIZ** Regional Advisor, and periodically provide a meeting space for conducting various urban working group activities.
- 4.1.4. To allocate 10% of the exemplary project cost from the municipality budget as a financial contribution for small-scale exemplary urban actions.
- 4.1.5. If necessary, to ensure the submission of the Neighborhood Development Plan (NDP) to the City Council.
- 4.1.6. To support effective communication and citizen engagement during the project.
- 4.1.7. To engage the Mayor/representative of the City Hall in the Urban Policy Innovation Group (UPIG) and in the Urban Innovation Network's activities.
- 4.1.8. To support the participation of relevant staff members in thematic study visits and trainings organized at both national and international levels.

- 4.1.7. მუნიციპალიტეტის მერმა/მერის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ დონეზე შექმნილი ურბანული პოლიტიკის ინოვაციის ჯგუფისა (UPIG) და ურბანული ინოვაციების ქსელის საქმიანობაში.
- 4.1.8. შესაბამის მუნიციპალურ თანამშრომლებს ხელი შეუწყოს მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე დაგეგმილ თემატურ სასწავლო ვიზიტებსა თუ ტრენინგებში.

4.2. მემორანდუმის ფარგლებში GIZ გამოთქვამს მზაობას:

- 4.2.1. პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოს რეგიონული მრჩეველის აყვანა **“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან”** მჭიდრო თანამშრომლობისთვის და სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ხელშესაწყობად.
- 4.2.2. უზრუნველყოს ურბანული სამუშაო ჯგუფის ტექნიკური მხარდაჭერა საპროექტო წინადადებების მომზადებისას, მათ შორის საინვესტიციო და ექსპლუატაციის ხარჯების გაანგარიშებისათვის.
- 4.2.3. დაგეგმოს და ჩაატაროს გამოცდილების გაცვლისა და უნარების განვითარების ღონისძიებები მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლებისთვის ინტეგრირებული ურბანული განვითარების, კლიმატური ცვლილებებისა და ჩართულობითი გეგმარების კუთხით.
- 4.2.4. ხელი შეუწყოს მერის მონაწილეობას ურბანული პოლიტიკის ინოვაციის ჯგუფის (UPIG) შეხვედრებში მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის დიალოგის ხელშესაწყობად.
- 4.2.5. მცირე ზომის სამაგალითო პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოს 50 000 ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი.

4.2. Within the framework of the **Memorandum**, GIZ hereby affirms its commitment:

- 4.2.1. To recruit a Regional Advisor for the **Project** to ensure close cooperation with **Zugdidi Municipality City Hall** and support urban working group activities.
- 4.2.2. To provide technical support to the urban working group in the preparation of project concepts, including investment calculations and operational costs.
- 4.2.3. To plan and conduct knowledge exchange and capacity development events for the relevant municipal staff for integrated urban development, climate action and stakeholder engagement.
- 4.2.4. To support participation of the Mayor in Urban Policy Innovation Group (UPIG) to facilitate dialogue between different levels of governance.
- 4.2.5. To allocate financial resources, in the amount of 50 000 Euros for small-scale pilot projects.

მუხლი 5. მემორანდუმის გამოყენება

- 5.1. მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა მიერ შესაბამისი ნებისა და ინტერესის წერილობით გამოხატვას.

Article 5. Application of the Memorandum

- 5.1. The **Memorandum** represents a formal expression of intent and interests by the **Parties**.

მუხლი 6. თანამშრომლობის სტრუქტურა

Article 6. Cooperation Structure

- 6.1. **პროექტის** ეფექტურად განხორციელებისთვის, ურბანული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, **GIZ-ის** რეგიონული მრჩეველი და **ზუგდიდის მერიის** საკონტაქტო მოხელე აქტიურად ითანამშრომლებენ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
- 6.2. პროექტის ფარგლებში შექმნილ ურბანულ სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც **GIZ-ის პროექტის** გუნდთან თანამშრომლობით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროექტის სამოქმედო არეალსა და საპროექტო საქმიანობის მიმართულებებს.
- 6.3. **მხარები** პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის უზრუნველყოფენ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დროულ გაცვლას.

- 6.1. To ensure the successful execution of the **Project**, GIZ's regional advisor and **Zugdidi municipality City Hall's** focal points will engage in active collaboration with interested parties through the urban working group, pursuing the **Project's** defined objectives.
- 6.2. The Mayor of Zugdidi municipality shall lead the urban working group and in collaboration with the **GIZ Project** team, define the **Project's** operational scope and activities within the municipal territory.
- 6.3. **Parties** shall commit to a punctual and comprehensive exchange of information and documentation essential for the proficient execution of the project.

მუხლი 7. ცოდნის გადაცემისა და გამოყენების უფლებები

Article 7. Rights of Knowledge Transfer and Use

- 7.1 **მხარეებს** ასევე უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, შედეგები და ანგარიშები საკუთარი მიზნებისთვისაც.
- 7.2. **მხარეთა** ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პუბლიკაციის გამოცემის შემთხვევაში, მასში უნდა აისახოს ერთობლივ ღონისძიებათა ზოგადი აღწერილობა, შესრულებულ ან/და შესასრულებელ საქმიანობათა სფერო, მონაწილე მხარეები და პროექტის შესახებ ინფორმაცია. თითოეული **მხარე** თანხმდება, რომ უზრუნველყოფს მისი ქვეკონტრაქტორების მიერ ამ წესის დაცვას.

- 7.1. The **Parties** possess the privilege to utilize their knowledge, findings, and reports exclusively for their individual objectives.
- 7.2. If either **Party** publishes any material related to the collaborative efforts, it shall include a general description of the joint activities, the scope of completed and/or pending activities, the parties involved and project details. Each party shall ensure that its subcontractors adhere to this requirement.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

Article 8. Liability of the Parties

- 8.1. **მხარეები** სრულ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას იღებენ პროექტში საკუთარი წვლილის შეტანასთან დაკავშირებით.

- 8.1. The **Parties** are individually and fully responsible for their project contributions.
- 8.2. Cooperation between the **Parties** shall only affect their internal relationship. When dealing with third parties, each **Party** acts

8.2. **მხარეებს** შორის თანამშრომლობა გავლენას უნდა ახდენდეს მხოლოდ **მხარეების** შიდა ურთიერთობაზე. მესამე მხარესთან თანამშრომლობის დროს თითოეული **მხარე** იმოქმედებს დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისი სახელით. არც ერთი **მხარე** არ არის უფლებამოსილი, წარმოადგინოს მეორე **მხარე** სპეციალური ნებართვის გარეშე.

independently and cannot represent the other **Party** without specific permission.

მუხლი 9. ანტიკორუფციული პოლიტიკა

Article 9. Anti-Corruption Clause

- 9.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **მემორანდუმის** მოქმედების ფარგლებში, არ უნდა განხორციელდეს რაიმე სახის შეთავაზება, რაც წარმოადგენს უკანონო ან კორუფციულ პრაქტიკას, მათ შორის - პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით საჩუქრის, თანხის, ჯილდოს ან სარგებელის გადაცემა.
- 9.2. **მემორანდუმის** შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს 9.1 პუნქტის დარღვევა.
- 9.3. **მხარეებმა** დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი სახის კორუფციის ნიშნების არსებობისა და **პროექტთან** დაკავშირებული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შესახებ და მოახდინონ სწრაფი სამართლებრივი რეაგირება, რათა დაიწყოს გამოძიება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა მიმართებითაც არსებობს ეჭვი კორუფციისა თუ **მემორანდუმით** განსაზღვრული ქმედებების განხორციელებისას რესურსების არამიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით.

9.1. The **Parties** hereby affirm that, in connection with this **Memorandum**, they shall not engage in any unlawful or corrupt activities, including the direct or indirect exchange of gifts, funds, incentives, or advantages.

9.2. The violation of clause 9.1. constitutes grounds for terminating the **Memorandum**.

9.3. The **Parties** shall promptly notify one another of any indications of corruption or misappropriation of resources pertaining to the **Project**, and shall initiate lawful investigations against any suspected individuals, in accordance with applicable laws, pertaining to actions specified in this **Memorandum**.

მუხლი 10. მემორანდუმის მოქმედების ვადა

Article 10. Duration and Termination

- 10.1. **მემორანდუმი** ძალაში შედის **ორივე მხარის** მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით (შემდგომში **მემორანდუმის ვადა**), შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით.
- 10.2. **მემორანდუმის ვადის** გაგრძელების თაობაზე **მხარეები** ორმხრივად უნდა შეთანხმდნენ დამატებით.

10.1. The **Memorandum** shall enter into force upon its signature by both **Parties** and shall remain in effect through January 31, 2025 (hereinafter referred to as: **MoU Term**), subject to the possibility of subsequent extensions.

10.2. The **Parties** shall mutually and additionally agree to the extension of the **Memorandum**.

10.3. **Parties** may terminate this **Memorandum** by mutual agreement for the justifiable

10.3. **მხარეებს** შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ **მემორანდუმი**, თუ ეს განპირობებულია მნიშვნელოვანი მიზეზით. მნიშვნელოვან მიზეზად ჩაითვლება:

10.3.1. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის მიერ GIZ-ისათვის დავალების გაუქმება ან ცვლილება.

10.3.2. თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს თავის წვლილს ან/და შედეგები ვერ უზრუნველყოფენ პროექტის მიზნის მიღწევას.

cause. A justifiable cause shall be deemed to exit if:

10.3.1. The Government of the Federal Republic of Germany terminates or modifies the commission to GIZ.

10.3.2. One of the **Parties** hereto does not deliver its contributions defined by this Memorandum and/or the results makes it impossible to meet the project goal.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. **მემორანდუმი**, შემდგომი ცვლილებები და დამატებები, ისევე როგორც ყველა მნიშვნელოვანი შეტყობინება, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. აღნიშნული მოთხოვნა ასევე ეხება წერილობითი ფორმით შეტყობინების წესის გაუქმებასაც.

11.2. **მემორანდუმი** შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი შეიცავს **მემორანდუმის** ქართულ და ინგლისურ ვერსიებს. ყოველმა **მხარემ** უნდა მიიღოს 1 (ერთი) ორენოვანი ასლი.

Article 11. Final Provisions

11.1. The **Memorandum**, subsequent amendments, and supplements, as well as all important notifications must be documented in writing. This requirement also applies to the agreement regarding cancellation of the written form rule.

11.2. The **Memorandum** is issued in 2 (two) original copies, each containing Georgian and English versions. **Each Party** shall receive one bilingual copy.

მხარეთა სახელით ხელს აწერენ

Signed on behalf of the Parties

Mamuka Tsotseria
Mayor of Zugdidi Municipality

მამუკა წოწერია
ქალაქ ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის მერი



Sandra Schenke
Country Director
GIZ Office Tbilisi

სანდრა შენკე
GIZ-ის საქართველოს ოფისის
ხელმძღვანელი
GIZ-ის ოფისი თბილისში

Anka Derichs
Programme Director
"Sustainable Urban
Development in Georgia"

ანკა დერიხსი
პროგრამის დირექტორი
„მდგრადი ურბანული
განვითარება საქართველოში“